საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 20 დეკემბერი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 216

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“, „ს[1]“ და მე-10[1] (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამარტივებული შესყიდვის დაუყოვნებლივ განხორციელების და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოახდინოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის და სახანძრო-სამაშველო სამსახურებისათვის საჭირო საავტომობილო საწვავის (ბენზინის) გამარტივებული შესყიდვა, ღირებულებით 2000 (ორიათასი) ლარი.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ალეკო მამეშვილი

Created by free version of DocuFreezer